

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №20

ქ. ახმეტა

4 აგვისტო, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა:

თ.ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა:

თ.წითელაური, ზ.გარსევანიძე, ნ.აბალოიძე
გ.ქიტესაშვილი, ი.უჯირაული, თ.ბოლაველი
ბ.ჭიჭიკლიშვილი, ც.გრძელივანიშვილი
ა.შათირიშვილი

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ სათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე თამარ ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს
გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების
თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი - ზურაბ გარსევანიძე/

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - ზურაბ გარსევანიძე/

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის ანკუთვნილი შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ზურაბ გარსევანიძე/

5. „ახმეტის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმისა და თუშეთის დასახლებების-ომალო, დართლო, ფარსმა, გირევი, დოჭუ, ჯვარბოსელი, შენაქო, დივლო, ინდურთა, ეთელთა, და ახმეტის მუნიციპალიტეტის დასახლებების- ზემო აღვნისა და ქვემო აღვნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების დამტკიცების თაობაზე”

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთევაური/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ. ახმეტაში, ბ. ჩოლოყაშვილის ქ. N49 მდებარე მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის (საკადასტრო კოდი 50.04.47.069) მესამე სართულზე არსებული 82,9 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლო უზუფრუქტით, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიუროს სარგებლობისათვის გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, თუშეთში სოფელ ჩიგლაურთას ტერიტორიაზე („ჩიგლაურთას კეხი“) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის (იჯარა) უფლების გაცემაზე თანხმობის შესახებ;

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთევაური/

8. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი, ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - ლუხუმი შეთევაური/

ბიუროს სხდომაზე შემოვიდა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით აბულაძე. მან ბიუროს წევრებს გააცნო პროექტი, -ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის საგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფს“,

საქართველოს „მცირე კავკასიის აღიანსების“ პროგრამის“ ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსი“-სგან გრანტის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ.

დავით აბულაძემ განმარტა საკითხი. აღნიშნა, რომ: დაგეგმილია „ქალთა ოთახის“ მოწყობა. თუ თქვენი თანხმობა იქნება, არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფი“ გადმოგვცემს გრანტს, ოთახის გასარემონტებლად. აქ მოხდება გენდერული საკითხების განხილვა, კომპიუტერული უნარ-ჩვევების შესწავლა და ითხოვა საკითხის დღის წესრიგში დამატება.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგში საკითხის დამატებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე:

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს წევრებს პროექტის შესახებ: ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტით საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილში ზრდა და კლება არ არის გათვალისწინებული. ცვლილება ეზება ბიუჯეტის არსებული პარამეტრების შიდა ცვლილებებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას. 7 - მომხრე;

- 1- წინააღმდეგი;
- 2- კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი ბიუროს დამსწრე წევრებს. აღნიშნა, რომ: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით საჭიროა აღნიშნული პროექტის მიღება.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2017 წლის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი წევრებს.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმისა და თუშეთის დასახლებების-ომალო, დართლო, ფარსმა, გირევი, დოჭუ, ჯვარბოსელი, შენაქო, დიკლო, ინდურთა, ეთელთა, და ახმეტის მუნიციპალიტეტის დასახლებების-ზემო ალვნისა და ქვემო ალვნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების დამტკიცების თაობაზე”

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი ბიუროს წევრებს: საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი და მოამზადა გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმა აღნიშნულ სოფლებზე. გეგმაში გათვალისწინებულია, მოთხოვნილებისამებრ - სად, რა შენობა უნდა აშენდეს.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უმრავი ქონების ქ. ახმეტაში, ბ. ჩოლოყაშვილის ქ. N49 მდებარე მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის (საკადასტრო კოდი 50.04.47.069) მესამე სართულზე არსებული 82,9 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლო უზუფრუქტით, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ბიუროს სარგებლობისათვის გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: აღნიშნული ფართი, გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე, გადაეცემა ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას. 8 - მომხრე;

2 - კენჭისყრაში
მონაწილეობა არ მიღო;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, თუშეთში სოფელ ჩიგლაურთას ტერიტორიაზე („ჩიგლაურთას კეზი“) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის (იჯარ) უფლების გაცემაზე თანხმობის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს: ა(ა)იპ „კავშირი თუშეთის განვითარების ფონდი“ ფართოზოლოვანი ინტერნეტის ანძების განთავსების მიზნით ითხოვს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხულ, 22 კვმ მიწის ნაკვეთს სოფელ ჩიგლაურთას ტერიტორიაზე. სარგებლობის გაცემის ვადა - 5 წელი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უმრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვისას საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი დამსწრე წევრებს.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას. 6 - მომხრე;

4 - კენჭისყრაში
მონაწილეობა არ მიღო;

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსმა მზია ბექაურმა ბიუროს სხდომაზე წარმოადგინა განკარგულების პროექტები (სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების გადაცემის შესახებ) და ითხოვა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანა.

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გოჩა ქიტესაშვილმა და ბიუროს დანარჩენმა წევრებმა შემოსულ წინადადებაზე უარი განაცხადეს, იმ მიზეზის გათვალისწინებით, რომ ადგილზე შეისწავლიდნენ საკითხს და მოსახლეობის აზრს გაეცნობოდნენ.

სხდომის თავმჯდომარეობის ჰერიტაჟის სისუროს დამსწროებელებს ხომალი სურათ რაიმე წინადადების
დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ზოგროს სხდომა დაისურა 11th საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყერიძიშვილი